

BLACK SEA FERRY LINES TRANSPORTATION AND LOGISTICS LLC

სატვირთო გადაზიდვის პირობები

გამოყენება

წინამდებარე სატვირთო გადაზიდვის პირობები ძალაშია 2026 წლის 1 მაისიდან და მასში მითითებული/ნახსენები წესები და პირობები გამოყენებული იქნება გადამზიდავთან დადებული ყველა ხელშეკრულების მიმართ მის მიერ გაწეული სატრანსპორტო მომსახურებისთვის, მიუხედავად იმისა, დადასტურებულია თუ არა აღნიშნული რაიმე დოკუმენტის გაცემით.

1. განმარტებები

1.1 "სატრანსპორტო საქონელი" მოიცავს, თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებას, კონტეინერს, საბორტო საშუალებას, პალეტს, ტრაილერს, მოძრავ ავზს და მსგავს ნივთებს, რომლებიც გამოიყენება საქონლის გამყარებისთვის, აგრეთვე მცენარეებისა და ხე-ტყის პაკეტების გადაზიდვისთვის.

1.2 "გადაზიდვა" ნიშნავს გადამზიდველის მიერ საქონელთან მიმართებაში განხორციელებულ ოპერაციებსა და მომსახურებას მთლიანად ან ნებისმიერ ნაწილს, მათ შორის, და არა მარტო ტვირთის დატვირთვას, გადმოტვირთვას, შენახვას, დასაწყობებას და ნარჩენების მართვას.

1.3 „გადამზიდავი“ ნიშნავს მხარეს, რომელმაც აიღო ვალდებულება შეასრულოს ან უზრუნველყოს გადაზიდვა მიღების ან ჩატვირთვის ნავსადგურიდან გადმოტვირთვის ნავსადგირამდე ან მიწოდების ადგილამდე, იმის მიხედვით თუ რომელი გამოიყენება.

1.4 "გადასახადები" მოიცავს ტვირთის გადაზიდვას და ყველა ხარჯს და ფულად ვალდებულებას, მათ შორის, და არა მხოლოდ გადასახადების მოსაკრებლებს და ბაჟს, რომლებიც გაწეულია გადამზიდველის მიერ და გადასახდელი იქნება მერჩანტის მიერ.

1.5 "კონსოლიდაცია" მოიცავს საქონლის ჩადებას, შეფუთვას, ჩატვირთვას ან უსაფრთხოდ განთავსებას სატრანსპორტო საშუალებებზე ან სატრანსპორტო საქონლის ფარგლებში.

1.6 „საშიში და საზღვაო დამაბინძურებელი საქონელი“ ნიშნავს ყველა საქონელს, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც საშიში ან საზღვაო დამაბინძურებელი, მიუხედავად იმისა, იდენტიფიცირებულია თუ არა საერთაშორისო საზღვაო საშიში საქონლის (IMDG) კოდექსის რედაქციაში, რომელიც მოქმედებს გადაზიდვის დროს.

1.7 "სატვირთო პირობები" ნიშნავს ამ ხელშეკრულების დებულებებს.

1.8 "გეთიდან გეთამდე" ნიშნავს გადაზიდვას, სადაც გადამზიდავი თანხმობას აცხადებს საქონლის ზღვით გადაზიდვაზე ასევე მასთან დაკავშირებული სატერმინალო დამუშავებასთან ერთად დატვირთვის ან/და გადმოტვირთვის ნავსადგურში.

1.9 "საქონელი" ნიშნავს ტვირთის მთელ ან რომელიმე ნაწილს და მოიცავს ნებისმიერ სატრანსპორტო საქონელს, რომელიც არ მიეწოდება გადამზიდავის მიერ ან მისი სახელით.

1.10 "ჰააგა-ვისბის წესები" ნიშნავს საერთაშორისო კონვენციას გარკვეული წესებისა და კანონის გაერთიანების შესახებ, რომელიც ეხება ტვირთის ზედნადებებს, რომლებიც გაფორმებულია ბრიუსელში 1968 წლის 22 თებერვალს და ბრიუსელში გაფორმებულ ოქმს სესხების სპეციალურ უფლებებთან (SDR) დაკავშირებით, ან თუ საქართველოს ან რუმინეთის საზღვაო კოდექსი (ერთობლივად მოიხსენიება, როგორც "საზღვაო კოდექსები") სავალდებულოდ ვრცელდება გადაზიდვაზე, მაშინ ჰააგა-ვისბის წესების მნიშვნელობა უნდა

იქნას გაგებული, როგორც კოდექსი, რომელიც სავალდებულოა კონკრეტული ტრანსპორტისთვის ზემოთ ნახსენებ კოდექსებს შორის.

1.11 "მერჩანტი" მოიცავს გამგზავნს, მიმღებს, ტვირთის გამგზავნს, ტვირთის მიმღებს და გადაზიდვის ხელშეკრულების დამადასტურებელ ნებისმიერ დოკუმენტის მფლობელს, საქონლის მფლობელს და ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ლეგიტიმური ინტერესი საქონლის მიმართ და ამ პირების სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს.

1.12 "მულტიმოდალური ტრანსპორტი" წარმოიშობა, თუ გადაზიდვა არ ხდება ნავსადგურიდან ნავსადგურამდე.

1.13 "ნავსადგურიდან ნავსადგურამდე" ნიშნავს გადაზიდვას, სადაც გადამზიდავი იღებს ვალდებულებას მოახდინოს როგორც საქონლის ზღვით გადაზიდვა, ისე დატვირთვის ადგილის იმ ნავსადგურში, სადაც მერჩანტმა საქონელი დააყენა, საქონლის გემზე დატვირთვა და გადმოტვირთვის ნავსადგურში გადმოტვირთვა. იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი საზღვაო კოდექსი არ გამოიყენება სავალდებულოდ, გადაზიდვა ჩაითვლება ნავსადგურიდან ნავსადგურამდე, თუ სხვაგვარი შეთანხმება რამ არ არსებობს.

1.14 "SDR" ნიშნავს სესხების სპეციალურ უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

2. ტარიფი

2.1 ტარიფის პირობები, რომლებიც გამოიყენება გადაზიდვის თარიღისათვის, ინკორპორირებულად მიიჩნევა წინამდებარე პირობებში. ტარიფის შესაბამისი დებულებების ასლები მოთხოვნის შემთხვევაში მიიღება გადამზიდავისგან. ამ სატვირთო პირობებსა და ტარიფს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატვირთო პირობები.

3. ტვირთი

3.1 ფრახტი გამომუშავებულად მიიჩნევა გადამზიდავის მიერ საქონლის მიღებისთანავე, მისი გადახდა სავალდებულოა ნებისმიერი გარემოების მიუხედავად და უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. წინასწარ გადასახდელი ფრახტის და სხვა გადასახდელების გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს გადამზიდავის მიერ საქონლის მიღებისთანავე, ხოლო ტვირთის და გადასახადის გადახდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს დანიშნულების ადგილზე არაუგვიანეს საქონლის მიწოდების დღეს ან იმ დღეს როცა ის უნდა მიწოდებულიყო.

3.2 მერჩანტის ყურადღება გამახვილებულია ფრახტის ტარიფში არსებულ პირობებზე, რომელიც ეხება ვალუტას, რომლითაც უნდა გადაიხადოს ტვირთი და გადასახადი, გაცვლითი კურსი, გაუფასურება და სხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციები ტვირთთან და გადასახადებთან დაკავშირებით შესაბამის სატარიფო პირობებში. თუ ასეთი დებულება არ არსებობს ან გამოიყენება, მაშინ გამოიყენება შემდეგი პუნქტი, თუ ვალუტა, რომელზედაც კოტირებულია ტვირთი და გადასახადი, გაუფასურებულია ან სავალუტო კურსის ცვლილება ხდება იგივე ეფექტით, როგორც დევალვაცია გადაზიდვის ხელშეკრულების თარიღს შორის და თარიღი, როდესაც ტვირთი და გადასახადი გადასახდელია, მაშინ ყველა ტვირთი და გადასახადი ავტომატურად და დაუყოვნებლივ უნდა გაიზარდოს აღნიშნული ვალუტის გაუფასურების მასშტაბის პროპორციულად.

3.3 თუ გადამზიდაველი თანახმაა მიიღოს გადახდა სხვა ვალუტაში, ყველა ტვირთი და გადასახადი, წინა პუნქტის შესაბამისად, გადახდილი იქნება ბანკების ტრატის წარდგენისთანავე იმ დღეს არსებული გაყიდვის ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსით

როდესაც ხდება ასეთი ტვირთის გადასახადის გადახდა. თუ ბანკები დაკეტილია ტვირთისა და გადასახადის გადახდის დღეს, მოქმედი ტარიფი იქნება ბანკების გახსნის ბოლო დღეს არსებული კურსი.

3.4 ბუნკერების, საწვავის და/ან სხვა ნახშირწყალბადის ზეთების ფასის გაზრდის შემთხვევაში, ტარიფები შეიძლება შეიცვალოს მერჩანტისთვის შეტყობინების გარეშე, იმისათვის რათა კომპენსირდეს გადამზიდავის გაზრდილი საწვავის და საპოხი ხარჯები გაზრდის დღიდან.

3.5 ფრახტის ბაზის გადამოწმების მიზნით, გადამზიდველი იტოვებს უფლებას შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობა, რათა დადგინდეს საქონლის წონა, ზომა, ღირებულება ან ტიპი.

3.6 თუ მერჩანტის მიერ ან მისი სახელით მიწოდებული საქონლის მონაცემები არასწორია ისე, რომ გადამზიდველის მიერ გადახდილი ფრახტი ნაკლებია, ვიდრე იქნებოდა სწორი მონაცემების მიწოდების შემთხვევაში, მერჩანტი გადაუხდის გადამზიდავს დამატებით კუთვნილ ფრახტს და ნებისმიერ სხვა ხარჯებს, რასაც გადამზიდავი გასწევს საქონლის ზუსტი მონაცემების დასადგენად.

3.7 მერჩანტი პასუხისმგებელია ყველა ფრახტის, გადასახადის, შენახვის, დაყოვნების და სხვა ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე, რომელიც გადასახდელია დანიშნულების ადგილზე, რასაც გადამზიდველი ვერ მიიღებს მიმღებისგან.

3.8 ყველა გადასახადი სრულად უნდა იყოს გადახდილი ყოველგვარი კომპენსაციის, საპასუხო პრეტენზიის, გამოქვითვის ან გადახდის დაგვიანების გარეშე.

4. გირავნობა

4.1 გადამზიდავს აქვს გირავნობის უფლება საქონელზე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტზე ნებისმიერი სახის და ტიპის ყველა თანხისთვის, რომელიც გადამზიდავს ნებისმიერ დროს ეკუთვნის მერჩანტისგან. ეს მოიცავს საერთო საერთო ავარიის შენატანებს ვისთვისაც არ უნდა იყოს ის განკუთვნილი, ისევე როგორც ამ თანხების ამოღებისას გაწეულ ხარჯებს, იგივე ტიპის ნებისმიერ მანამდე გადაუხდელ თანხებს, გადამზიდავს უფლება აქვს გაყიდოს საქონელი და დოკუმენტები საჯარო აუქციონით ან კერძო ხელშეკრულებით, მერჩანტის შემდგომი შეტყობინების გარეშე და მერჩანტის ხარჯზე და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მერჩანტის მიმართ. ასეთი გირავნობა და პასუხისმგებლობა დარჩება ძალაში მიუხედავად იმისა, საქონელი იყო თუ არა გადმოტვირთული, შენახული ან სხვაგვარად განკარგული. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები არ იქნება საკმარისი რათა დაიფაროს დავალიანება, გადამზიდავს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია დანაკლისის გამო ნებისმიერი მხარისგან, რომელიც განმარტებულია ტერმინში „მერჩანტი“.

5. სატრანსპორტო საქონლის შემოწმება

5.1 გადამზიდავი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, ნებისმიერ დროს გახსნას ნებისმიერი სატრანსპორტო საქონელი, რომელიც დაფიქსირებული და მომზადებულია მერჩანტის მიერ ტრანსპორტირებისთვის, რათა შეამოწმოს ტრანსპორტის ასეთი საქონელი და მისი შემადგენლობა 23.1, 24 და 26 პუნქტების მიზნებისთვის.

5.2 თუ რომელიმე ზემოთ მითითებული სატრანსპორტო საქონელი გაიხსნება და/ან შემოწმებულია რომელიმე საბაჟო ან სხვა სამთავრობო ორგანოს მიერ ნებისმიერ დროს, გახსნის ან/და ინსპექტირების ხარჯები და მოსაკრებლები, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ეკისრება მერჩანტს და გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე,

დაზიანებაზე, დაგვიანებაზე, ხარჯებზე ან მოსაკრებლებზე, რომლებიც გაწეულია მერჩანტის მიერ ამის გამო და მერჩანტი აუნაზღაურებს გადამზიდავს ასეთი გახსნის ან/და ინსპექტირების შედეგად წარმოქმნილი ყველა შედეგისთვის.

5.3 მერჩანტი ვალდებულია თავისი რისკით და ხარჯებით გამოასწოროს აღმოჩენილი შეუსაბამობა ან ხარვეზი, რის შემთხვევაშიც გადამზიდავი უფლებამოსილია მიიჩნიოს ტრანსპორტირება შეწყვეტილად და განათავსოს საქონელი მერჩანტის განკარგულებაში ნებისმიერ ადგილას. ასეთ შემთხვევაში გადამზიდავს უფლება აქვს აიღოს ყველა ტვირთი და შეაგროვოს ნებისმიერი სხვა გადასახადი, როგორც ეს აღწერილია მე-3 პუნქტში და ისარგებლებს ანაზღაურებით, როგორც ზემოთ აღწერილია ამ მუხლში.

6. პლომბები

6.1 გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი მისაბმელის, კონტეინერისა თუ სხვა დანადგარის საბაჟო პლომბების ან საბაჟო პლომბების ნომრების შემოწმებაზე და არ არის ვალდებული განახორციელოს რაიმე შემოწმება ან აღნიშნოს საბაჟო პლომბის ნომერი ნებისმიერ დოკუმენტზე. თუ გადამზიდავი მაინც თანხმდება საბაჟო პლომბის აღნიშვნაზე, ეს არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც გადამზიდავის მიერ დადასტურება ნომრის სიზუსტის ან პლომბის მდგომარეობასთან დაკავშირებით, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ შედეგებზე არავითარ შემთხვევაში.

7. გადაზიდვის მეთოდები და მარშრუტები

7.1 გადამზიდავს უფლება აქვს, მერჩანტისთვის შეტყობინების გარეშე, განახორციელოს გადაზიდვა ნებისმიერი გონივრული გზით და ნებისმიერი გონივრული საშუალებით, მეთოდით და მარშრუტით.

7.2 საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში, გონივრულ საშუალებებს, მეთოდებსა და მარშრუტებს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ, გემებით, რომლებიც არის პილოტიანი ან უპილოტო, გადიან რემონტს, აღჭურვილობის მორგებას, დგანან ნავსადგურზე და დამხმარე გემებით ყველა სიტუაციაში.

7.3 გადამზიდავს აქვს თავისუფლება გადაზიდოს საქონელი ნებისმიერ არჩეულ თარიღზე, დროს, შეკვეთაზე და გემზე, მიუხედავად დაჯავშნის ან მიღების შეკვეთისა ან კონკრეტული გემისა ან გემით გადაზიდვის თარიღისა/დროისა, რომელიც თავდაპირველად იყო განსაზღვრული საქონლისთვის. გადამზიდავს ასევე შეუძლია აირჩიოს საქონლის ტრანსპორტირება გემით რამდენიმე გადაზიდვით, თუნდაც არა ყველა იმავე დღეს. ამ უფლების განხორციელებისას გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი რაიმე ხარჯზე ან ზარალზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

7.4 გადამზიდავს უფლება აქვს თავისი აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილებით და ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარი თქვას საქონლის ან მისი რომელიმე ნაწილის მიღებაზე ან გადაზიდვაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მანამდე დათანხმდეს იმავეს მიღებაზე ან გაგზავნაზე.

7.5 გადამზიდავი არავითარ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი ირიბი ან შედეგობრივი ზიანის ან ზარალის ან კონკრეტული ბაზრის დაკარგვისთვის, მიუხედავად იმისა იქნება ეს ყოველდღიურად თუ ინტერვალებით.

8. ქვეკონტრაქტი

8.1 გადამზიდავს უფლება აქვს დადოს ქვეკონტრაქტი ნებისმიერი პირობით, გადაზიდვის მთლიან ან ნებისმიერ ნაწილზე, ჩატვირთვის, გადმოტვირთვის, შენახვის, დასაწყობების, მართვის და გადამზიდველის მიერ საქონელთან მიმართებაში დაკისრებულ ნებისმიერ და ყველა მოვალეობასთან დაკავშირებით.

8.2 გადაზიდვის ხელშეკრულების მიზნებისათვის და ამ გადაზიდვის პირობების დებულებების გათვალისწინებით, გადამზიდავი პასუხისმგებელია ნებისმიერი პირის ქმედებებზე და უმოქმედობებზე, რომელთა მომსახურებებსაც ის იყენებს გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად.

9. გადამზიდავის კონსოლიდაცია. სატრანსპორტო საქონლის გადაზიდვა გემბანზე ან გემბანქვეშ

9.1 გადამზიდავს უფლება აქვს მოახდინოს საქონლის კონსოლიდირება სატრანსპორტო საშუალებებში. სატრანსპორტო საქონელი, იქნება ეს გადამზიდავის მიერ კონსოლიდირებული თუ გადამზიდავის მიერ მერჩანტიგან კონსოლიდირებულ მდგომარეობაში მიღებული, შეიძლება გადატანილ იქნას გემბანზე ან მის ქვეშ მერჩანტისთვის შეტყობინების გარეშე.

9.2 ჩატვირთვა და განტვირთვა უნდა მოხდეს გადამზიდავის ხარჯზე, მაგრამ მერჩანტს გადამზიდავის მიმართ ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ ფინანსური შედეგებისათვის, რისგანაც არ უნდა იყოს ეს გამომწვეული, რაც უკავშირდება ნებისმიერი ერთეულის დაზიანებას ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს, იქნება ეს გემის ბორტზე თუ ნაპირზე.

10. მიწოდება

10.1 მერჩანტმა მიწოდებული საქონელი უნდა ჩაიბაროს 24 საათის განმავლობაში მისი გაჩერების დღიდან გადმოტვირთვის პორტში ან გადამზიდავის მიერ მიწოდების ადგილზე. თუ მერჩანტი არ მიიღებს საქონელს ისე, როგორც ეს მოითხოვება, გადამზიდავი უფლებამოსილია, მერჩანტისთვის შეტყობინების გარეშე, შეინახოს საქონელი მერჩანტის სახელით და მხოლოდ მერჩანტის რისკითა და ხარჯით, საჭიროების შემთხვევაში, მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გირავნობის უფლებით. საქონლის შენახვა ჩაითვლება მიწოდებად ამ ტვირთის პირობების მე-17, მე-18, მე-20 და 21-ე მუხლებში აღნიშნული მიზნებისათვის. შედეგად, გადამზიდავის პასუხისმგებლობა შენახულ საქონელთან დაკავშირებით მთლიანად შეწყდება. ამგვარი შენახვის ხარჯები, თუ ის გადახდილია გადამზიდავის ან გადამიზიდავეების, მისი რომელიმე აგენტის ან ქვეკონტრაქტორის მიერ გადამზიდავის მოთხოვნისთანავე მერჩანტის მიერ მისთვის უნდა იქნეს გადახდილი.

10.2 გადამზიდავი არ იღებს ვალდებულებას მოახდინოს გაფრთხილება საქონლის ჩამოსვლის ან გადმოტვირთვის შესახებ.

10.3 გადამზიდავს უფლება აქვს დაუშვას საქონლის ჩაბარება ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც გონივრულად უფლებამოსილად შეიძლება იქნეს მიჩნეული და ასეთი ჩაბარება წარმოადგენს გადამზიდავის ვალდებულებების სრულ და სათანადო შესრულებას ამ თვალსაზრისით.

11. გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ შესრულებაზე

11.1 გადამზიდავმა უნდა გამოიყენოს გონივრული ძალისხმევა, რათა დაასრულოს გადაზიდვა და მიაწოდოს საქონელი მიწოდების ადგილზე ან გადმოტვირთვის ნავსადგურში.
11.2 თუ, ნებისმიერ დროს, გადაზიდვის ხელშეკრულების შესრულებაზე გავლენას ახდენს ან მოახდენს რაიმე სახის დაბრკოლება, რისკი, დაგვიანება, გაფიცვა/ლოკაუტი, სირთულე ან რაიმე სახის პრობლემა, მათ შორის ფორს-მაჟორი და თუ ქვეპუნქტის საფუძველზე (1) გადამზიდაველს არ აქვს მოვალეობა დაასრულოს ხელშეკრულების პირობების შესრულება, გადამზიდავს, მიუხედავად იმისა, გადაზიდვა დაიწყო თუ არა, შეუძლია აირჩიოს:

ა) მიიჩნიოს გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების შესრულება შეწყვეტილად და განათავსოს საქონელი მერჩანტის განკარგულებაში ნებისმიერ ადგილას, რომელსაც გადამზიდავი ჩათვლის უსაფრთხოდ და მოსახერხებლად; ან

ბ) მოახდინოს საქონლის მიწოდება მიწოდების ადგილზე ან გადმოტვირთვის ნავსადგურში. ნებისმიერ შემთხვევაში, გადამზიდავს უფლება აქვს ამოიღოს ფრაქტი და მიიღოს ნებისმიერი სხვა გადასახადი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-3 პუნქტში, გადაზიდვისთვის მიღებული ნებისმიერი საქონლისთვის და ნებისმიერი დამატებითი კომპენსაცია დამატებითი ხარჯებისთვის, რომლებიც გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო.

12. მძიმე ლიფტები

12.1 ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია საქონლით მიწოდებასთან, ჩატვირთვისთან და გადმოტვირთვისთან, რომელიც საჭიროებს აღჭურვილობას, მექანიზმს ან ხელსაწყოებს, რომლებიც მუდმივად არ არის დამონტაჟებული ან ხელმისაწვდომი სანაპიროზე ან გემზე, ანაზღაურდება მერჩანტის მიერ.

13. საქონლის თანმზღები მგზავრები და მერჩანტის ანაზღაურება

13.1 ნებისმიერი მძღოლის ან ნებისმიერი სხვა პირის, რომელთა გადაყვანა ხდება მგზავრის სახით და უკავშირდება საქონლის საზღვაო გადაზიდვას, გადაყვანის მიმართ გამოიყენება გადამზიდაველის წესები პირობები მგზავრთა გადაყვანისთვის (საჭიროებისამებრ მოდიფიცირებული), რომლებშიც ინკორპორირებულია ათენის კონვენცია.

13.2 გადამზიდავს, კაპიტანს, მის აგენტებს ან თანამშრომლებს შეუძლიათ უარი თქვან ნებისმიერი მგზავრის გადაყვანაზე და შეუძლიათ გააუქმონ კონტრაქტი მგზავრთან ნებისმიერ დროს გამგზავრებამდე, როდესაც გადამზიდავი, მისი აგენტი ან თანამშრომლები გონივრული შეხედულებისამებრ გადაწყვეტენ:

ა) რომ ასეთი ქმედება აუცილებელია უსაფრთხოების მიზნით და/ან სახელმწიფოს ან ქვეყნის ნებისმიერი მოქმედი კანონის, რეგულაციის ან ბრძანების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ბ) მგზავრის ქცევა, სტატუსი, ასაკი ან ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობა ისეთი საფრთხის, დისკომფორტის ან გაღიზიანების მიზეზი იყოს მისი, გადამზიდაველის, სხვა მგზავრების ან ქონებისთვის, ან

გ) როდესაც მგზავრი არ იცავს გადამზიდავის მითითებებს. ასეთ შემთხვევებში მგზავრს არანაირი პრეტენზია არ აქვს გადამზიდავის მიმართ.

დ) ყოველმა პირმა, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ საქონელს, უნდა დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით ნებისმიერ დროს, სანამ საქონელი იმყოფება გადამზიდავის კონტროლის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავს აქვს რაიმე საფუძველი იფიქროს, რომ საქონელი შეიძლება დაიტვირთოს გემზე, როდესაც თან ახლავს ნებისმიერი პირი ალკოჰოლის ან ნარკოტიკების არასათანადო ზემოქმედების ქვეშ, გადამზიდავს უფლება აქვს უარი თქვას ამ პირისა და საქონლის

გადაზიდვაზე და ასეთი უარის გამო გადამზიდავს არ ეკისრება პასუხისმგებლობა რომელიმე პირის წინაშე.

14.3 მერჩანტი პასუხისმგებელია გადამზიდავის მიმართ ქონების, გემის, ავეჯის და აღჭურვილობის ნებისმიერ დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რაც გამოწვეულია პირდაპირ ან ირიბად, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი განზრახვი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ან უმოქმედობით ან გამორჩენით ნებისმიერი მგზავრის მიერ, რომელიც თან ახლავს მერჩანტის საქონელს. მერჩანტი ასევე პასუხისმგებელია გადამზიდავის, მისი აგენტების და თანამშრომლების მიმართ ნებისმიერი იმ პასუხისმგებლობისთვის, რომელიც შეიძლება მათ დაეკისროთ ნებისმიერი მესამე პირის ან ხელისუფლების მიმართ, პირადი დაზიანების, სიკვდილის ან ქონების დაკარგვის ან დაზიანების გამო, რომელიც გამოწვეულია გამოწვეულია პირდაპირ ან ირიბად, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი განზრახვი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ან უმოქმედობით ან გამორჩენით იმ მგზავრის მიერ, რომელიც თან ახლავს მერჩანტის საქონელს.

14.4 მერჩანტმა უნდა აუნაზღაუროს გადამზიდავს ყველა დანაკარგი, დაზიანება, ხარჯი, დანახარჯი, მოსაკრებლები, საფასური და სხვა შედეგები, რომლებიც გამოწვეულია ელექტრონული ან მექანიკური ან სხვა დეფექტის ან გაფიჭების ან ხარვეზის გამო, მათ შორის მერჩანტის საქონელზე დამაგრების წერტილების გაუმართაობის ან საწვავის ან სხვა სითხის გაჟონვის გამო ასეთი საქონლისგან.

14.5 მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდველს ნებისმიერი დანაკარგი, ზიანი, ხარჯები, დანახარჯები, ვალდებულებები და სხვა შედეგები, რომლებიც გამოწვეულია მერჩანტის უგულბელყოფით, გამოტოვებით ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობით.

14.6 ყველა ხარჯი, მოსაკრებელი ან ვალდებულება, რომელიც გაწეულია გადამზიდავის მხრიდან ნებისმიერი უგულბელყოფის, გამოტოვების ან ვალდებულების გამო, ეკისრება მერჩანტს და წარმოადგენს ვალს მერჩანტის მიერ გადამზიდავის წინაშე.

15. ცოცხალი ცხოველები

15.1 თუ ცოცხალი ცხოველების გადაყვანა ხდება სატრანსპორტო საშუალებებით, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი ასეთი ცოცხალი ცხოველების რაიმე სახის დაზიანებაზე, ავადმყოფობაზე, სიკვდილზე, დაგვიანებაზე ან განადგურებაზე. ბორტზე მყოფი ცოცხალი ცხოველების საკვების, წყლისა და ვეტერინარული დახმარების გაწევა არის გამგზავნის ან გამგზავნის მიერ დანიშნული პირის მოვალეობა. თუ მეპატრონე თავისი შეხედულებისამებრ ჩათვლის, რომ ნებისმიერი ცოცხალი ცხოველი, სავარაუდოდ, ზიანს აყენებს ცოცხალ ცხოველს ან ბორტზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს ან ქონებას, ან გამოიწვევს გემის დაგვიანებას ან შეფერხებას მისი მოგზაურობის განხორციელებისას, მაშინ გადამზიდავს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს შესაბამისი ზომები ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, გამგზავნი აუნაზღაურებს საზღვაო გადამზიდავს ყველა ან დამატებითი ხარჯისთვის, რომელიც გაწეულია ნებისმიერი მიზეზით ცოცხალი ცხოველების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

16. ხანდაზმულობა და შეტყობინება დანაკარგის შესახებ

16.1 გადამზიდავის ყველა ვალდებულება და პასუხისმგებლობა შეწყდება, თუკი სარჩელი არ იქნება წარდგენილი შემდეგ ვადაში:

ა) მულტიმოდალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით - 9 თვე, ან

ბ) ნავსადგურიდან დავსადგურამდე ან გეითიდან გეითამდე გადაზიდვასთან დაკავშირებით - 12 თვე საქონლის მიწოდების თარიღიდან ან იმ თარიღიდან, როცა საქონელი უნდა მიწოდებულიყო.

16.2 თუ საქონლის დაკარგვა ან დაზიანება აშკარაა, აუცილებელია გადამზიდავს მიეწოდოს წერილობითი შეტყობინება დაკარგვის ან დაზიანების ზოგადი ხასიათის მითითებით, მიწოდების ადგილზე საქონლის გატანამდე ან გატანისა. იმ შემთხვევებში, როდესაც ზარალი ან დაზიანება არ არის აშკარა, ასეთი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ტვირთის ჩაბარებიდან მომდევნო სამი დღის ვადაში. თუ მითითებულ ვადაში ასეთი შეტყობინება არ გაიგზავნება, აღნიშნული წარმოადგენს *prima facie* მტკიცებულებას, რომ გადამზიდავმა მიაწოდა საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორც მან მიიღო.

17. გადამზიდავის პასუხისმგებლობა საქონლის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე

17.1 როდესაც გადაზიდვა ხორციელდება ნავსადგურიდან ნავსადგურამდე, მაშინ გადამზიდავის პასუხისმგებლობა ტვირთის დაკარგვის ან დაზიანებისათვის, რომელიც წარმოიქმნება გადაზიდვის დროს, განისაზღვრება ჰააგა-ვისბის წესების შესაბამისად.

17.2 IV მუხლის 5(ა) წესის მიზნებისათვის საქონელი ჩაითვლება ერთ პაკეტად ან ერთეულად.

17.3 თუ გადაზიდვა ხორციელდება მულტიმოდალური ტრანსპორტით, მაშინ გადამზიდავის პასუხისმგებლობა საქონლის დაკარგვის ან დაზიანებისთვის, რომელიც წარმოიქმნება იმ დროიდან, როდესაც გადამზიდავი იღებს საქონელს მის საფასურში და მერჩანტისთვის მიწოდების დროს, განისაზღვრება შემდეგნაირად:

17.3.1 თუ გადაზიდვის ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა ზარალი ცნობილი არ არის, გადამზიდავი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, როდესაც ასეთი დანაკარგი ან დაზიანება გამოწვეულია:

ა) მერჩანტის არასწორი ქმედებით ან უგულვებლყოფით.

ბ) მათი გაცემის უფლებამოსილი პირის მითითებების შესრულებით.

გ) არასწორი ან არასაკმარისი შეფუთვით ან დეფექტური მდგომარეობით იმ საქონლის შემთხვევაში, რომელიც, თავისი ბუნებით, არის დაკარგვადი ან დაზიანებადი, როდესაც არ არის შეფუთული ან სათანადოდ შეფუთული.

დ) მერჩანტის მიერ ან მისი სახელით საქონლის განკარგვით, ჩატვირთვით, დაწყობით ან გადმოტვირთვით.

ე) საქონლის თანდაყოლილი ნაკლით.

ვ) საქონელზე ნიშნების ან ნომრების არარსებობით ან არაშესაბამისი რაოდენობით არსებობით.

ზ) გაფიცვით, ლოკაუტით, შეჩერებით ან რაიმე მიზეზით შეზღუდვით, ნაწილობრივად თუ ზოგადად.

თ) ხანძრით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოწვეულია გადამზიდავის ფაქტობრივი ბრალით ან თანამონაწილეობით.

ი) გემის კაპიტნის, მეზღვაურის, პილოტის ან გადამზიდავის თანამშრომლების ქმედებით, უგულვებლყოფით ან შეუსრულებლობით გემის მართვისას.

კ) ნებისმიერი მიზეზით ან მოვლენით, რომლის თავიდან აცილებაც გადამზიდავმა ვერ შეძლო და რომლის შედეგიც მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა გონივრული განსჯით.

იმ სიტუაციებში, როდესაც გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე ან დანაკარგზე (17.3.1) ქვეპუნქტში ნახსენები კონკრეტული მიზეზების ან მოვლენების გამო, მათი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმდენად, რამდენადაც მიზეზებმა, მოვლენებმა ან

გარემოებებმა, რომლებზეც ისინი პასუხისმგებელი არიან ამ მუხლის მიხედვით, ხელი შეუწყო ზარალს ან ზიანს. მტკიცების პასუხისმგებლობა, რომ დაკარგვა ან დაზიანება გამოწვეული იყო ზემოთ (17.3.1) ქვეპუნქტის (ა), (ბ) და (თ) ქვეპუნქტში მითითებული ერთი ან რამდენიმე მიზეზის, მოვლენის ან შემთხვევის გამო, ეკისრება გადამზიდავს. როდესაც გადამზიდავი ადგენს, რომ საქმის გარემოებებში, დაკარგვა ან დაზიანება შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთ ან მეტ მიზეზს, მოვლენას ან გარემოებას, რომლებიც მითითებულია (17.3.1) ქვეპუნქტის (გ)-დან (ვ) ქვეპუნქტებში, ჩაითვლება, რომ ეს ასე იყო ნამდვილად გამოწვეული. ამასთან, მერჩანტი უფლებამოსილია დაამტკიცოს, რომ ზარალი ან ზიანი, ფაქტობრივად, არ იყო გამოწვეული მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ან რამდენიმე მიზეზის, მოვლენის ან გარემოების გამო.

17.3.2 როდესაც ცნობილია გადაზიდვის ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა ზარალი, გადამზიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ნებისმიერი საერთაშორისო კონვენციის ან ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად, რომლებიც ადგენს:

ა) მითითებული ვადები და პირობები არ შეიძლება შეიცვალოს კერძო ხელშეკრულებით, რაც ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებებს

ბ) მიმართავდა, თუ მერჩანტი დადებდა ცალკე და პირდაპირ კონტრაქტს გადამზიდავთან ტრანსპორტის კონკრეტულ ეტაპთან დაკავშირებით, სადაც მოხდა დაკარგვა ან დაზიანება და ამის დამადასტურებლად მიიღებდა ტვირთის ზედნადებს ან რაიმე კონკრეტულ დოკუმენტს, რომელიც უნდა გაიცეს, თუ ასეთი საერთაშორისო კონვენცია ან ეროვნული კანონმდებლობა მოქმედებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადამზიდავის პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება ცოცხალ ცხოველებზე და/ან საქონელზე, რომლებიც მითითებულია გემბანზე გადასაყვანად და არის ასე გადაყვანილი.

თუ ზემოაღნიშნული (გ) ქვეპუნქტის საფუძველზე არ გამოიყენებოდა საერთაშორისო კონვენცია ან ეროვნული კანონი, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია გადაზიდვის ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა დანაკარგი, გადამზიდველის პასუხისმგებლობა ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს (ა) და (ბ) შესაბამისად ზემოთ.

17.4 ნებისმიერი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება იძულებითი გამოყენების გზით, თუ ჰააგა-ვისბის წესები ვრცელდება გადაზიდვებზე, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი დანაკარგზე, დაზიანებაზე ან მიწოდების დაგვიანებაზე, რომელიც გამოწვეულია (ა) ცოცხალი ცხოველების გადაზიდვით და/ან (ბ) გემბანზე არსებული ტვირთით, რომელიც მითითებულია გემბანზე გადაზიდვის შესახებ ნებისმიერ დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს გადაზიდვის ხელშეკრულებას და ფაქტობრივად გადატანილია გემბანზე, იქნება ეს გამოწვეული არასაზღვაოობით ან დაუდევრობით ან რაიმე სხვა მიზეზით.

17.5 თუ ჰააგა-ვისბის წესები ან ნებისმიერი სხვა კონვენცია ან საზღვაო კოდექსი ვრცელდება გადაზიდვებზე, მაშინ ამ ტვირთის პირობების ნებისმიერი დებულება, რომელიც გადაუხვევს ჰააგა-ვისბის წესებს, იქნება ბათილი და არამოქმედი იმდენად, რამდენადაც იგი არ იქნება შესაბამისობაში პირდაპირ ან ირიბად ჰააგა-ვისბის წესებთან, მაგრამ ასეთი დებულების ბათილობა გავლენას არ მოახდენს სხვა დებულებების მოქმედებაზე ამ გადაზიდვის პირობების ფარგლებში.

18. გადამზიდავის პასუხისმგებლობა დაგვიანებისთვის, თანმდევი დანაკარგისთვის და ა.შ.

18.1 ნებისმიერ განრიგში, ცხრილში, გემით გადაზიდვის გეგმებში, რეკლამებში ან სხვაგან ნაჩვენები დრო მიახლოებითია და არ არის გარანტირებული. ისინი არ განიხილება ამ

გადაზიდვის ხელშეკრულების ნაწილად და გადამზიდავი იტოვებს უფლებას შეცვალოს ეს განრიგი მერჩანტისთვის შეტყობინების გარეშე. ჩამოსვლისა და გამგზავრების თარიღები ექვემდებარება ცვლილებებს საზღვაო გადამზიდავის კონტროლის მიღმა არსებული მიზეზების გამო, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ პორტის ნავმისადგომთან ხელმისაწვდომობით, ამინდის პირობებით, გახანგრძლივებული საბაჟოთი, საპასპორტო პოლიციით და სხვა ოფიციალური ფორმალობით, საზღვაო გადამზიდავის კონტროლს მიღმა არსებული სხვა მიზეზებით. გამგზავრებისა და ჩამოსვლის თარიღები შეიძლება შეიცვალოს როგორც მოგზაურობის დაწყებამდე, ასევე მის შემდეგ.

18.2 გადამზიდავი არავითარ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი პირდაპირ, არაპირდაპირ ან შემდგომ დანაკარგზე ან ზარალზე, რომელიც გამოწვეულია დაგვიანებით. ზემოაღნიშნულის დარღვევის გარეშე, თუ გადამზიდავი მაინც უნდა იყოს იურიდიულად პასუხისმგებელი ნებისმიერი ასეთი პირდაპირი, არაპირდაპირი ან თანმიმდევრული დანაკარგისთვის ან დაგვიანებით გამოწვეული ზიანისთვის, მაშინ გადამზიდავის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება გადამზიდავის ტვირთით ან საქონლის ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება 21-ე პუნქტით, რომელიც უფრო დაბალი ღირებულებისაა.

18.3 თუ ამ დოკუმენტში სხვა რამ არ არის მითითებული, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული პირდაპირი, ირიბი ან თანმიმდევრული ზარალის ან ზიანისათვის და არც რაიმე მოგების დაკარგვისთვის.

18.4 არავითარ შემთხვევაში და განურჩევლად გარემოებისა, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი დანადგარის ძარის (მათ შორის, ტილოს და სხვა საფარის ჩათვლით) ან საბურავების რაიმე გაუარესებასა ან დაზიანებაზე, სანამ ის გადამზიდავის მფლობელობაშია. ჩათვლება, რომ ნებისმიერი ასეთი გაუარესება ან დაზიანება ნორმალური ცვეთას შედეგია, თუ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ეს გამოწვეული იყო გადამზიდავის მიერ.

18.5 არავითარ შემთხვევაში და მიზეზის მიუხედავად, გადამზიდავი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე შედეგისთვის, რომელიც გავლენას მოახდენს რომელიმე პირზე, რომელიც გამოწვეულია ფორსმაჟორული ქმედების ან მოვლენის შედეგად. ფორსმაჟორი მოიცავს, და არ შემოიფარგლება მხოლოდ გადაულახავი ძალით, გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომით, ომის საფრთხით, ტერორისტული აქტით, არეულობით ან სამოქალაქო პროტესტით, ბუნებრივი ან ბირთვული კატასტროფებით, ხანძრით, ტექნიკური პრობლემებით, პორტების დახურვით, გაფიცვებით ან სხვა. სამრეწველო ქმედებებით, მძიმე ამინდის პირობებით ან ნებისმიერი სხვა მოვლენით, რომელიც გადამზიდავის კონტროლს მიღმაა.

19. შეცვლა ან გაუქმება მერჩანტის/ დამკვეთის მიერ

19.1 გემის გამგზავრებამდე მერჩანტს უფლება აქვს შეცვალოს და/ან გააუქმოს ჯავშანი ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით www.blacksealine.com ან ჩვენთან ან ჩვენს რეგისტრირებულ წარმომადგენლებთან წერილობითი ფორმით. მერჩანტს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი გადაზიდვის საფასურის დაბრუნება შემდეგნაირად:

- ა) სრული ოდენობით – გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე;
- ბ) 50% - გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების შემთხვევაში;

გ) როდესაც შეტყობინება მიიღება გემის გამგზავრებამდე 3 დღით ადრე, გადაზიდვის ფასი არ ბრუნდება და სრულად რჩება გადამზიდვას.

20. დაცვა და შეზღუდვები გადამზიდვისა და გადამზიდვის ქვეკონტრაქტორებისთვის, წარმომადგენლებისა და თანამშრომლებისთვის

20.1 წინამდებარე გადაზიდვის პირობებით გათვალისწინებული დაცვა და პასუხისმგებლობის შეზღუდვები გამოიყენება გადამზიდვის წინააღმდეგ საქონლის დაკარგვის ან დაზიანების გამო ნებისმიერი მოთხოვნების მიმართ, მიუხედავად იმისა, ეს მოთხოვნები ეფუძნება ხელშეკრულებას, გირავნობას, დელიქტს თუ სხვა.

20.2 ჰიმალაის პირობა და ცირკულარული კომპენსაცია: მერჩანტი იღებს ვალდებულებას, რომ გადამზიდვის, მისი მოსამსახურების, აგენტების ან ქვეკონტრაქტორების მიმართ არ შეიძლება წაყენებული იქნეს რაიმე მოთხოვნა ან პრეტენზია ხელშეკრულებიდან, გიროდან, ზიანის მიყენებიდან ან სხვაგვარი საფუძვლიდან გამომდინარე რაც აკისრებს ან ცდილობს დააკისროს მათ ან მათ საკუთრებაში მყოფ ან დაფრახტულ გემს რომელიც რაიმე პასუხისმგებლობა საქონელთან ან საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა, წარმოიქმნება თუ არა ასეთი პირის დაუდევრობის გამო, და თუ ასეთი პრეტენზია ან ბრალდება მაინც წარმოიშობა, აუნაზღაუროს გადამზიდვს მისი ყველა შედეგისთვის. ზემოაღნიშნულის დარღვევის გარეშე, თითოეული თანამშრომელი, აგენტი და ქვეკონტრაქტორი ისარგებლებს ტვირთის პირობებში მოცემული ყველა დებულებისა და პირობების უპირატესობებით, მიუხედავად მათი ბუნებისა, როგორც სარგებლობს გადამზიდავი, 29-ე პუნქტის ჩათვლით, რომელიც ეხება სამართალსა და იურისდიქციას, ზემოაღნიშნული თანამშრომლები, აგენტები და ქვეკონტრაქტორები ჩაითვლებიან ტვირთის პირობების ბენეფიციარებად. გადამზიდავი, ამ ხელშეკრულების გაფორმებისას, მოქმედებს არა მხოლოდ დამოუკიდებლად, არამედ აგენტის და რწმუნებულის სახელით აღნიშნული თანამშრომლებისთვის, აგენტებისთვის და ქვეკონტრაქტორებისთვის, ტვირთების პირობებში ასახულ დებულებებთან დაკავშირებით.

20.3 ნებისმიერ შემთხვევაში, გადამზიდვისგან, მისი თანამშრომლებისგან, აგენტებისგან, ქვეკონტრაქტორებისგან, მათ შორის სტივიდორებისგან და მე-8 პუნქტის (2) ქვეპუნქტში ნახსენები ნებისმიერი სხვა პირისგან ასანაზღაურებელი თანხის ჯამი არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე პირობებში მითითებულ ლიმიტებს.

21. კომპენსაციის ოდენობა

21.1 როდესაც გადამზიდავი პასუხისმგებელია საქონლის დაკარგვის ან დაზიანების გამო კომპენსაციისთვის, ასეთი კომპენსაცია გამოითვლება ამ საქონლის ღირებულების მიხედვით მათი მიწოდების ადგილზე და დროს, როცა უნდა მიეწოდებინათ მერჩანტისათვის ამ გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

21.2 საქონლის ღირებულება დგინდება საქონლის ამჟამინდელი სასაქონლო ბირჟის ფასის მიხედვით, ან თუ არ არსებობს საქონლის მიმდინარე საბაზრო ფასი ან, თუ არ არის სასაქონლო ბირჟის ფასი ან მიმდინარე საბაზრო ფასი, იმავე სახის და/ან ხარისხის საქონლის სტანდარტული ღირებულების მითითებით.

21.3 თუ მერჩანტმა, გადამზიდვის თანხმობით, განახორციელა საქონლის ღირებულების დეკლარირება გადაზიდვის ხელშეკრულების დამადასტურებელ ნებისმიერ დოკუმენტზე, მაშინ დეკლარირებული ღირებულების ოდენობა ჩაანაცვლებს წინამდებარე ტვირთის პირობებით სხვაგვარად დადგენილ ლიმიტებს.

21.4 თუ ჰააგა-ვისბის წესები ვრცელდება ზემოთ მოცემული მე-17 მუხლის შესაბამისად, გადამზიდავის პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ჰააგა-ვისბის წესებით ან მოქმედი საზღვაო კოდექსით გათვალისწინებულ თანხებს (იხილეთ პუნქტი 29).

21.5 მულტიმოდალურ ტრანსპორტში, სადაც არ არის ცნობილი გადაზიდვის ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა დანაკარგი ან დაზიანება, ან ცნობილია, მაგრამ საერთაშორისო კონვენცია ან ეროვნული კანონი არ გამოიყენება მე-17 პუნქტის საფუძველზე, კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს 2 SDR-ს დაკარგული ან დაზიანებული საქონლის მთლიანი წონის კილოგრამზე. SDR ნიშნავს სესხების სპეციალურ უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

21.6 მულტიმოდალურ ტრანსპორტში, სადაც ცნობილია გადაზიდვის ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა დანაკარგი ან დაზიანება, კომპენსაცია გამოითვლება ზემოთ მოცემული (5) ქვეპუნქტის შესაბამისად. თუმცა, თუ იძულებითი კანონი მოქმედებს ან მოქმედებს მე-17 მუხლი, გადამზიდავის პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ასეთი სავალდებულო კანონის მიხედვით გადასახდელ თანხას.

22. გადამზიდავის პასუხისმგებლობა

22.1 როდესაც გადამზიდავი გასცემს გადაზიდვის ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ეს უნდა იყოს საქონლის გადამზიდავის მიერ მიღებული ქვითრის უტყუარი მტკიცებულება, როგორც ეს აღწერილია იმ დეტალებთან დაკავშირებით, რომელთა შემოწმების გონივრული საშუალებები ჰქონდა გადამზიდავს. ამგვარ დეტალებთან დაკავშირებით, საპირისპირო მტკიცებულება დაუშვებელია, როდესაც ასეთი დოკუმენტი არის შეთანხმებადი დოკუმენტი, რომელიც გადაეცა კეთილსინდისიერად მოქმედ მესამე მხარეს.

23. მერჩანტის პასუხისმგებლობა

23.1 მას შემდეგ, რაც გადამზიდავი ახორციელებს საქონელზე კონტროლს, ითვლება, რომ მერჩანტი მისცა გარანტია გადამზიდავს საქონლის აღწერილობისა და დეტალების სიზუსტეზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ნიშნებით, რიცხვებით, რაოდენობით და წონით. მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდავს ნებისმიერი ვალდებულება, ზარალი, ზიანი, ხარჯები და მოსაკრებლები, რომლებიც წარმოიქმნება მერჩანტის მიერ მოწოდებულ ასეთ აღწერილობაში და დეტალებში უზუსტობების ან არასაკმარისი ინფორმაციის გამო.

23.2 მერჩანტი უზრუნველყოფს, აუნაზღაურებს და დაიცავს გადამზიდავს ნებისმიერი დანაკარგისგან, ზიანის, პრეტენზიის, პასუხისმგებლობისა თუ ხარჯისგან, რომელიც წარმოიქმნება ამ მუხლის დებულებების ნებისმიერი დარღვევით ან რაიმე მიზეზით საქონელთან დაკავშირებით, რომელზეც გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი

24. საშიში და საზღვაო დამაბინძურებელი საქონელი

24.1 მერჩანტის ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთის კოდექსსა (IMDG) და ნებისმიერი ცვლილებაზე და დამატებებზე, რომელიც შეიძლება იყოს ძალაში, საშიში ტვირთის გადამზიდავი გემების გადაუდებელი პროცედურების შესახებ (EmS) და სამედიცინო პირველადი დახმარების სახელმძღვანელო სახიფათო ტვირთების ავარიის დროს გამოყენებისთვის (MFAG).

24.2 მერჩანტს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ყველა საშიში და საზღვაო დამაბინძურებელი საქონლის სათანადოდ შეფუთვა და მომზადება IMDG კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, მერჩანტმა უნდა წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტები, როგორცაა სახიფათო ტვირთის შესაფუთი ბარათი და ნებისმიერი სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ეხება სახიფათო და საზღვაო დამაბინძურებელ საქონელს, როგორც ამას მოითხოვს IMDG კოდექსი ან სხვა მოქმედი ეროვნული რეგულაციები საქონლის ტრანსპორტირებისთვის.

24.3 მულტიმოდალური ტრანსპორტის შემთხვევაში, ევროპული შეთანხმება საშიში ტვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვის შესახებ (ADR) და დანართი 1 (RID) რკინიგზით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულება (CIM) ან რაიმე კონკრეტული შეთანხმება, რომელიც შედგენილია ხელშემკვერელ მხარეებს შორის გამოყენებული იქნება შესაბამის სატრანსპორტო ნაწილზე.

24.4 საშიში და საზღვაო დამაბინძურებელი საქონელი გატანილ უნდა იქნას გადმოტვირთვის პორტიდან, შესაძლებლობის მიხედვით, თუ არ არის მიღებული კონკრეტული ნებართვა საქონლის პორტში დარჩენისთვის. 24.5 საშიში და საზღვაო დამაბინძურებელი საქონელი, რომელიც არ არის დეკლარირებული ან არასწორად დეკლარირებული, გადამზიდავისთვის და საშიში საქონელი, რომელიც შემდგომში საფრთხეს უქმნის ტრანსპორტის მეთოდს, სხვა ტვირთებს ან გარემოს, შეიძლება განადგურდეს, გატანილ იქნას ან გახდეს უვნებელი გადამზიდავის მიერ. ასეთი ვალდებულების რისკი და ხარჯი ეკისრება მერჩანტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოცხადებულია საერთო ავარია.

24.6 თუ მერჩანტი არ შეასრულებს ზემოაღნიშნულ დებულებებს, როგორც მოქმედს, ისინი პასუხისმგებელი იქნებიან მიყენებულ ზარალზე, დანაკარგზე და ხარჯებზე, მიუხედავად მიზეზისა. მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდავს ნებისმიერი ვალდებულება, ზარალი, ზიანი, ხარჯები და მოსაკრებლები, რომლებიც წარმოიქმნება წინა დებულებებში მოცემული მერჩანტის ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევისგან.

25. მერჩანტის კონსოლიდაცია, სამაცივრე და გამაცხელებელი დანადგარები

25.1 თუ სატრანსპორტო საქონელი არ არის კონსოლიდირებული და გადაცემისათვის მომზადებული გადამზიდავის მიერ, მაშინ გადამზიდავი, წინამდებარე 17 და 21 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გარეშე, არ იქნება პასუხისმგებელი მასში არსებული საქონლის დაზიანებაზე ან დაკარგვაზე. თავად სატრანსპორტო ნივთის დაზიანების ან დაკარგვისთვის და მერჩანტი აუნაზღაურებს გადამზიდავს მის მიერ გაწეული ნებისმიერი დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, თუ ასეთი დაკარგვა, დაზიანება ან ხარჯი უკავშირდება:

ა) გადატვირთვას, დაუდევრობით ან შეუსაბამო სატრანსპორტო საქონლის კონსოლიდაციას, უზრუნველყოფას, დაფარვას ან ჩაკეტვას;

ბ) ფაქტობრივად გამოყენებულ სატრანსპორტო საქონელში გადასაზიდად შეუფერებელი საქონელი;

გ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადამზიდავმა არ წარმოადგინა სატრანსპორტო საქონელი და შეუსაბამობა ან დეფექტი შესამჩნევი იქნებოდა გონივრული შემოწმების შედეგად, როდესაც გადამზიდავმა მიიღებდა მას, მერჩანტი იქნება პასუხისმგებელი ტრანსპორტის პროდუქტის ნებისმიერ შეუფერებლობაზე ან დეფექტურ მდგომარეობაზე.

25.2 გადამზიდავი არ იღებს პასუხისმგებლობას სამაცივრო, გათბობის, ატმოსფერული კონტროლის ან ნებისმიერი სახის აღჭურვილობის გაუმართაობის შედეგებზე, რომელიც დაკავშირებულია ან წარმოადგენს ტრანსპორტის პროდუქტს.

25.3 იმ შემთხვევებში, როდესაც ტრანსპორტის ნივთი გამოიყენება საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტისთვის CMR კონტრაქტით და საქონელი რჩება დატვირთული სატრანსპორტო საშუალებებზე მთელი მოგზაურობის განმავლობაში, CMR კონტრაქტი კვლავ არეგულირებს ტრანსპორტირების მთელ პროცესს, მათ შორის საზღვაო გადაზიდვებს, რომლებიც შესრულებულია სატრანსპორტო საქონლით. CMR ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საგზაო გადამზიდავი პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე სატრანსპორტო საშუალებებში არსებულ საქონელსა და თანმხლებ დოკუმენტებზე. სახელმწიფო ორგანოების, კერძო ორგანიზაციებისა და სხვათა მიერ საქონელთან და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია უნდა წარედგინოს საგზაო გადამზიდველს.

26. საერთო ავარია

26.1 საერთო ავარია უნდა დარეგულირდეს 1994 წლის იორკ-ანტვერპენის შესწროებული წესების მიხედვით, ნებისმიერ ნავსადგირშიან ადგილზე გადამზიდავის არჩევანით, მიუხედავად იმისა, დეკლარირებული იქნება გადამზიდავის ან მისი ქვეკონტრაქტორის მიერ თუ არა. ეს დებულება მოიცავს ყველა საქონელს, მიუხედავად იმისა, გადატანილი იქნება თუ არა გემბანზე, ასევე გემბანის ტვირთსა და ცოცხალ ცხოველებს. მერჩანტი ვალდებულია წარმოადგინოს ფულადი დეპოზიტი ან ნებისმიერი სხვა სახის გარანტია, რომელიც გადამზიდავმა შეიძლება ჩათვალოს საკმარისად საქონლის სავარაუდო საერთო საშუალო შენატანის დასაფარად. ეს უნდა განხორციელდეს მიწოდებამდე, თუ ამას ითხოვს გადამზიდავი, ან სამი თვის განმავლობაში საქონლის მიწოდებიდან, თუ გადამზიდავი არ წამოაყენებს ასეთ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მერჩანტმა წინასწარ გადამზიდავის გირავნობის შესახებ მიწოდების დროს. იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი ფლობს ან მართავს გემს, რომელიც ჩართულია სამაშველო ოპერაციებში, მერჩანტი ვალდებულია გადაიხადოს სამაშველო ხარჯები ისე, თითქოს სამაშველო ხომალდი ეკუთვნოდეს მესამე მხარეს.

26.2 იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი აწვდის საქონელს მერჩანტს საერთო ავარიის უზრუნველყოფის ან სხვა გარანტიის მოთხოვნის გარეშე საერთო ავარიის შენატანისთვის, მერჩანტი, საქონლის მიღებით, პირადად ხდება პასუხისმგებლობას საქონლის CIF ღირებულების შეტანაზე. თუმცა, ეს პასუხისმგებლობა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი ატყობინებს მერჩანტს განზრახვის შესახებ განაცხადოს საერთო ავარიის შესახებ მერჩანტის მიერ საქონლის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში.

26.3 მერჩანტი იღებს ვალდებულებას გადამზიდავის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გაამჟღავნოს საქონლის CIF ღირებულება და ანდერრაიტერის სახელი და მისამართი. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მერჩანტი გადამზიდავს არ მიაწვდის ვალდებულებას ასეთი ანდერრაიტერისაგან, გადაიხადოს ზოგადი საშუალო შენატანი, მერჩანტი გადასცემს გადამზიდავს სხვა გარანტიას, რომელიც მას შეუძლია დაამტკიცოს.

27. ორმხრივი ბრალული შეჯახების და ახალი ჯეისონის დათქმა

27.1 BIMCO-ს მიერ მიღებული ორმხრივი ბრალეული შეჯახების და ახალი ჯეისონის დათქმები ინკორპორირებულია წინამდებარე პირობებში.

28. ინგლისური ვერსიის პრიორიტეტულობა / სათაურები

28.1 ეს პირობები შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. შეუსაბამობების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

28.2 პუნქტების სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოსახერხებლობისთვის და არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს.

29. სამართალი და იურისდიქცია

29.1 გადაზიდვის ხელშეკრულების და ამ სატვირთო პირობების ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამ პირობების გათვალისწინებით. არავითარი სამართალწარმოება არ შეიძლება სხვა სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, თუ მხარეები პირდაპირ არ შეთანხმდებიან სხვა სასამართლოს ან ტრიბუნალის არჩევანზე და კანონის შესახებ იმ ადგილის შესახებ, რომელიც გამოიყენება მაშინ, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება გადაუხდელ ტვირთს და/ან მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს გადამზიდავების შეხედულებისამებრ იურისდიქციის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე და იმ ადგილის კანონით, რომელიც მაშინ გამოიყენება.

29.2 საქონლის საზღვაო ტრანსპორტირება ამ სატვირთო პირობებით რეგულირდება ზედნადებთან დაკავშირებული კანონის გარკვეული წესების გაერთიანების საერთაშორისო კონვენციით, რომელსაც ხელი მოეწერა ბრიუსელში 1924 წლის 25 აგვისტოს და შემდგომში შესწორებულია 1968 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ოქმით (საყოველთაოდ ცნობილი როგორც ჰააგის/ვისბის წესები), გარდა ამისა, სატვირთო პირობები მოიცავს 1979 წლის 21 დეკემბერს ბრიუსელში ხელმოწერილი სესხების სპეციალური უფლებების შესახებ ოქმს (SDRs), გარდა იმ გამონაკლისისა, რომ კონოსამენტი არ გაიცემა და იმ პირობით, რომ მხარეთა შორის შეთანხმებულია რომ ზემოაღნიშნული კონვენციის VI მუხლის დებულებები გამოიყენება წინამდებარე პირობების მიმართ, გარდა ჰააგა-ვისბის წესების კონკრეტული დებულებებისა - I მუხლი, III მუხლი მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 წესები, IV მუხლის მე-5 (გ) წესი, VI მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე პუნქტის დებულება და X მუხლი, რომლებიც არ გამოიყენება.

29.3 ნებისმიერი დებულება ან პირობა გადაზიდვის ამ სატვირთო პირობების ფარგლებში, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედი საზღვაო კოდექსების სავალდებულო დებულებებს და ზიანს აყენებს ტვირთამგზავნს, გამგზავნს ან ტვირთის მიმღებს, ბათილად ითვლება, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება პირდაპირ თუ ირიბად, მოქმედ საზღვაო კოდექსის დებულებებს. ასეთი დებულების ან პირობის ბათილობა გავლენას არ მოახდენს სხვა წესებისა და პირობების მოქმედებაზე გადაზიდვის ამ სატვირთო პირობების ან გადაზიდვის ხელშეკრულების ფარგლებში.

29.4 რაც შეეხება ცოცხალ ცხოველებს და გემბანზე ტვირთს, რომელიც მითითებულია გადაზიდვის კონტრაქტის დამადასტურებელ დოკუმენტში გემბანზე გადასატანად და ფაქტობრივად გემბანზე, რამდენადაც რუმინეთის ან საქართველოს საზღვაო კოდექსის დებულებები გამოიყენება საზღვაო გადაზიდვებზე, გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი დანაკარგზე, დაზიანებაზე ან მიწოდების დაგვიანებაზე, რომელიც გამოწვეულია ამ ტიპის გადაზიდვის რაიმე განსაკუთრებული რისკით.

29.5 სხვა დამატებითი უფლებები, გამონაკლისები ან პასუხისმგებლობიდან გამონაკლისები და განთავისუფლება გადამზიდავის სასარგებლოდ, რომელსაც მოიცავს ნებისმიერი საერთაშორისო კონვენცია ან ეროვნული კანონმდებლობა, უცვლელი რჩება.

